ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
იურიდიული საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **10-01171221026**

გაცემის თარიღი: **02.05.2017**

განმცხადებელი (დაინტერესებული) პირი
საქართველოს რეფორმების ასოციაცია
საიდენტიფიკაციო ნომერი: 406077579
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მიცკევიჩის ქ., №27, ბინა 1

GRASS REFORMANDA
აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 211
თარიღი: 4 05 2017 წ.

თქვენი 2017 წლის 24 აპრილის N21/01171142959-01 განცხადების პასუხად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქლაქო სამსახურის 2017 წლის პირველი მაისის N18-01171213697 წერილზე დაყრდნობით, გაცნობებთ, რომ „მილიონი ხის" პროექტის ფარგლებში დენდროლოგიურ პარკში დარგულია 41 371 ძირი ნერგი, ხოლო მთლიანად თბილისის მასშტაბით დარგულია 640 000 ძირი სხვადასხვა სახეობის ნერგი.

აღნიშნული ნერგების მონიტორინგს სამსახური განახორციელებს სავეგეტაციო პერიოდის დასრულებისთანავე და დაზუსტებულ ინფორმაციას გახარების კოეფიციენტთან დაკავშირებით მოგაწვდით დამატებით.

მიმდინარე წელს დენდროლოგიურ პარკში რგვები არ არის დაგეგმილი. ხოლო, რაც შეეხება თბილისში წელს დასარგავი ნერგების რაოდენობას გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის გაზაფხულზე, თბილისის მასშტაბით დაირგვება 20 000 ძირი წიწვოვანი ხე-მცენარე, ხოლო დარჩენილი რაოდენობა კი საშემოდგომო რგვების პერიოდში.

აქვე გაცნობებთ, რომ დარგული ნერგების გახარებაზე პასუხისმგებელი არის ტენდერში გამარჯვებული კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ ნერგების დარგვას და მოვლა-პატრონობას.

იურიდიული საქალაქო სამსახური -
საჯარო ინფორმაციის
ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო
მმართველობის მხარდაჭერის
განყოფილება - განყოფილების უფროსი

ილია გელაშვილი